ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის დებულება

(კოდიფიცირებული ვერსია)[1]

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023-ის განვითარებისა და დანერგვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) ინიციატივით ყალიბდება ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი), რომლის შემადგენლობაშიც შედიან დაინტერესებული მხარეები სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორებიდან.
2. კომიტეტის პასუხისმგებლობაა შეიმუშაოს მიდგომები და რეკომენდაციები ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023-ის განვითარება–დანერგვასთან და საქართველოში ფინანსური განათლების მხარდაჭერის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 2. კომიტეტის უფლებამოსილებები

კომიტეტის უფლებამოსილებებია:

ა) განახორციელოს სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებებისა და ამოცანების შესაბამისად ფინანსური განათლების აქტივობების ინიცირება, მათი სამოქმედო გეგმაში გაწერა და შესრულება;

ბ) მიიღოს მონაწილეობა დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივ აქტივობებში ადამიანური, ფინანსური თუ სხვა საჭირო რესურსით;

გ) შეიმუშაოს რეკომენდაციები ფინანსური განათლების აქტივობების დახვეწა–დანერგვის კუთხით;

დ) ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებს შორის ინფორმაციის დროულ და მუდმივ რეჟიმში გავრცელებას კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე ფინანსური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ;

ე) მიიღოს მონაწილეობა ფინანსური განათლების საკითხებზე კვლევით და აკადემიურ საქმიანობაში;

ვ) მოახდინოს ხარვეზების იდენტიფიცირება სტრატეგიის დანერგვის პროცესში და წამოჭრას ინიციატივები მათ გადასაჭრელად;

ზ) ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების მიერ ინიციატივების დუბლირების თავიდან აცილებასა და ფინანსური განათლების კუთხით ეფექტიანი პროექტების დაგეგმვას;

თ) მოახდინოს დამოუკიდებლად განხორციელებული ფინანსური განათლების აქტივობების მონიტორინგი და შეფასება, ასევე ამ მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება;

ი) იმსჯელოს სტრატეგიის ფარგლებში დაფინანსების საკითხების შესახებ და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

---

[1] პირველადი ვერსია დამტკიცდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 7 ივნისის #92/04 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა:

- ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 28 დეკემბრის #395/04 ბრძანებით;
- ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 30 ივლისის #195/04 ბრძანებით
- ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 03 თებერვლის #20/04 ბრძანებით

კ) დაამტკიცოს სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, ასევე სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომიტეტის საქმიანობას და მოახდინოს დამტკიცებული აქტივობების დანერგვის მონიტორინგი და შესრულების ანგარიშების მოსმენა.

მუხლი 3. კომიტეტის შემადგენლობა

1. კომიტეტი შედგება მუდმივმოქმედი და არამუდმივმოქმედი წევრებისგან.
2. კომიტეტის მუდმივმოქმედი წევრები არიან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები – თეიმურაზ ხომერიკი და ვახტანგ ბურკიაშვილი, ეროვნული ბანკის ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და საგადახდო სისტემების დეპარტამენტების უფროსები და ამ დეპარტამენტების კურატორი ხელმძღვანელები.
3. კომიტეტის მუდმივმოქმედი წევრობა ეთხოვოს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში:

   ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
   ბ) სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“;
   გ) სსიპ „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო“;
   დ) სსიპ „საქართველოს საპენსიო ფონდი“;
   ე) სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“;
   ვ) ა(ა)იპ „საქართველოს საბანკო ასოციაცია“;
   ზ) ა(ა)იპ „საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია“.
4. კომიტეტის არამუდმივმოქმედი წევრობა ეთხოვოს ამ დებულების დანართი №1-ით განსაზღვრული ორგანიზაციების შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში.
5. კომიტეტის თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი – თეიმურაზ ხომერიკი, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი – ვახტანგ ბურკიაშვილი.
6. კომიტეტის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
7. წელიწადში ერთხელ შესაძლებელია მოხდეს კომიტეტის შემადგენლობის გადასინჯვა, მიმდინარე და მომავალი საჭიროებების შესაბამისად.

მუხლი 4. კომიტეტის სხდომების გამართვის წესი

1. კომიტეტი იკრიბება წელიწადში ერთხელ. საჭიროებისამებრ, კომიტეტის წევრის შეთავაზებითა და კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია კომიტეტის სხდომების მეტი სიხშირით გამართვა.

2. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. სხდომა შესაძლოა ჩატარდეს ფიზიკური შეკრებით ან რომელიმე ონლაინ პლატფორმის (მაგ. Webex ან სხვა) საშუალებით ან კომბინირებულად.

3. კომიტეტის სხდომას შესაძლებელია დაესწროს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი, იმავე მუხლის მე-3 პუნქტითა და დანართი №1-ით განსაზღვრული ორგანიზაციების ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში, ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტითა და დანართი №1-ით განსაზღვრულ ორგანიზაციას აქვს ერთი ხმა, მიუხედავად სხდომაზე დამსწრე მის უფლებამოსილ წარმომადგენელთა რაოდენობისა. სხდომას ხმის უფლების გარეშე ასევე შესაძლებელია დაესწროს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და დანართი №1-ით განსაზღვრულისგან განსხვავებული ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირ(ებ)ი.

4. კომიტეტის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. გადაწყვეტილების მიღება, ასევე, დოკუმენტის დამტკიცება ხდება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. კომიტეტის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. გადაწყვეტილების მისაღებად სხდომას უნდა ესწრებოდეს კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

5. გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მოხდეს სხდომის მოწვევის გარეშე ელექტრონული ფორმითაც. ელექტრონული ფორმით ხმის მიცემა ფიქსირდება ელექტრონული ფოსტით პოზიციის დადასტურებით. რომელიმე წევრის მიერ პოზიციის დაუფიქსირებლობის შემთხვევა განიხილება შესაბამისი წევრის დადებით გადაწყვეტილებად. ელექტრონული ფოსტით ხმის მიცემის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება კომიტეტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

6. კომიტეტის მდივანი არის საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ფინანსური განათლების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

7. კომიტეტის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის მდივანი. ოქმში უნდა მიეთითოს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სხდომის თავმჯდომარის და კომიტეტზე დამსწრე პირთა შესახებ ინფორმაცია, მათი ვინაობის მითითებით, კომიტეტის დღის წესრიგი (განსახილველი საკითხები), განსახილველ საკითხებზე კომიტეტის თითოეული წევრის მიერ დაფიქსირებული გადაწყვეტილება, განსახილველ საკითხზე კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, განსხვავებული აზრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ოქმის გავრცელებას კომიტეტის წევრებს შორის უზრუნველყოფს კომიტეტის მდივანი.

8. სხდომის ოქმის პროექტი ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) იგზავნება ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან, აგრეთვე, იმავე მუხლის მე-3 პუნქტითა და დანართი №1-ით განსაზღვრული ორგანიზაციების იმ უფლებამოსილ წარმომადგენლებთან, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომას და მინიჭებული აქვთ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის

მიცემის უფლება. აღნიშნული პირები ელექტრონულად ეთანხმებიან (ვიზას აძლევენ) ოქმის პროექტში მითითებულ ინფორმაციას. სხდომაზე დამსწრე პირების ელექტრონული თანხმობის მოპოვებას და შენახვას უზრუნველყოფს კომიტეტის მდივანი.

მუხლი 5. კომიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023-ის განვითარებისა და დანერგვის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ პროექტში ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტითა და დანართი №1-ით განსაზღვრული ორგანიზაციების ჩართულობისა და მათ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, ამ მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს პროექტის განხორციელების, ფინანსური განათლების კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, მათი ჩართულობისა და სანდოობის გაზრდის, პირის იდენტიფიცირების, კომუნიკაციისა და საჭიროების შემთხვევაში, დაჯილდოების, ასევე, გამარჯვებული კანდიდატების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, რომლის საფუძველი შესაძლოა იყოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებული და ნებაყოფლობითი თანხმობა, ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულება ან/და მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დაცვა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით (რაც გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეობას, დასაქმების ადგილს, ემიგრაციაში ყოფნის გამოცდილებას, ანგარიშის ნომერს, კონკრეტული სეგმენტის (მათ შორის, ასაკობრივი) კუთვნილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საქართველოს კონკრეტულ რეგიონთან კავშირს, ფოტოს), რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და პროექტის განხორციელების ვადით (თუ პერსონალური მონაცემების შენახვის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი).
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტითა და დანართი №1-ით განსაზღვრული ორგანიზაცია ვალდებულია:

   ა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპების დაცვით დაამუშაოს პერსონალური მონაცემები;

   ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ წაშალოს/გაანადგუროს პერსონალური მონაცემები, ხოლო მატერიალურად არსებული მონაცემების შემცველი დოკუმენტები, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ეროვნულ ბანკს. ამასთან, ამ მუხლის მოქმედების შეწყვეტის ან/და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკთან დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და სრულად გადასცეს მას პროექტის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი);

   გ) მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები პერსონალურ მონაცემთა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად და შეძლოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების

იმავე კანონთან შესაბამისობის დადასტურება. მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან, ასევე, მიიღოს შესაბამისი ზომები რათა დაიცვას და უზრუნველყოს, პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა;

დ) კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ეროვნულ ბანკს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის განხორციელებას;

ე) არ დაამუშაოს პერსონალური მონაცემები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნისგან განსხვავებული მიზნით;

ვ) თავისი უფლება-მოვალეობები არ გადასცეს სხვა პირს სრულად ან ნაწილობრივ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

ზ) დაეხმაროს ეროვნულ ბანკს მის მიერ მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის, დაუყოვნებლივ შეასრულოს ეროვნული ბანკის ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა გასწორებასთან, განახლებასთან, შევსებასთან, გადაცემასთან, წაშლასთან ან სხვაგვარად დამუშავებასთან;

თ) დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა, აცნობოს ეროვნულ ბანკს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მას პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებაში.

დანართი №1

კომიტეტის არამუდმივმოქმედი წევრები

კომიტეტის არამუდმივმოქმედი წევრობა ეთხოვოს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებს:

ა) სს „საქართველოს ბანკი“;
ბ) სს „თიბისი ბანკი“;
გ) სს „ბაზისბანკი“;
დ) სს „კრედო ბანკი“;
ე) სს „ლიბერთი ბანკი“;
ვ) სს „ტერაბანკი“;
ზ) სს „სილქბანკი“;
თ) სს „მიკრობანკი ემბისი“;
ი) სს „მიკრობანკი კრისტალი“;
კ) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) გაეროს მიგრაციის სააგენტოს მისია საქართველოში;
ლ) ფაინანს ინ მოუშენის საქართველოს წარმომადგენლობითი ოფისი.